ნიკოლოზ მესხიშვილი

ქალაქ თბილისის თვითმმართველობის საკითხი XIX საუკუნეში და ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარება

შესავალი

XIX საუკუნემდე საქართველოს და ქართულ საზოგადოებას დემოკრატიულ პრინციპებსა და კანონზე დაფუძნებული თვითმმართველობა, არც საზოგადოდ და არც ლოკალურად, ქალაქის საზღვრებით შეზღუდული, თავიანთი ისტორიის მრავალი საუკუნის განმავლობაში არ ჰქონიათ. ოკუპაციისა და გარესამყაროში შეცვლილი პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ქართველ ხალხს, კერძოდ კი თბილისის მოსახლეობას, დემოკრატიის მთელ რიგ ელემენტებთან და მათ შორის თვითმმართველობის სისტემასთან გადაკვეთა სწორედ რუსეთის იმპერიის მოქალაქეების სტატუსით მოუწიათ.

მთლიანად XIX საუკუნე საქართველოს ისტორიაში გამოწვევებითა და სიახლეებით დატვირთული პერიოდი იყო, რა დროსაც საზოგადოებას მრავალი სიახლის მიღება, გამოწვევების პირისპირ დგომა და სირთულეების გადალახვა უხდებოდა. ამ პერიოდში მძაფრად იგრძნობოდა პოლიტიკურად განსწავლული, სამეურნეო საქმის მცოდნე ადამიანების დეფიციტი. თითქმის სრულიად ჩამკვდარი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოძრაობის გამოცოცხლებას, 60-იანი წლებიდან, მხოლოდ „თერგდალეულები“ თუ ცდილობდნენ და ნაწილობრივი წარმატებითაც, თუმცა ეს ნაკლებად ეხებოდა პოლიტიკურ სივრცეს. აშკარა იყო რომ ქართულ საზოგადოებას პუბლიცისტების, მწერლებისა და საქმოსნების კლასებთან ერთად და შესაძლოა მათზე მეტადაც პოლიტიკური კლასის არსებობა და ასპარეზზე გამოსვლა სჭირდებოდა. საამისო სივრცე ფიზიკურად არ არსებობდა და მხოლოდ ერთეული ბეჭდვითი ორგანოები ვერ შეასრულებდნენ იმ სამჭედლოს როლს, სადაც მომავალი პოლიტიკოსები უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ და გამოცდილება მიეღოთ.

სწორედ ამ დროს დაიწყო რუსეთის იმპერიაში ალექსანდრე მეორის ლიბერალური რეფორმები, რომელმაც ქართველი ხალხისთვის, მოღვაწეებისათვის, თბილისისა და მთლიანად საქართველოსთვის უნიკალური გამოცდილების მიღების, სიახლეებთან და განვითარებასთან შეხვედრისა და თვითმმართველობის წინა მოდელისაგან განსხვავებით, მეტ-ნაკლებად რეალურ თვითმმართველობასთან ზიარების რეალობა შექმნა. წარმოუდგენელი იყო რომ ამ და შემდგომ, მის თანმდევ რეფორმებს თავისი წვლილი არ შეეტანათ ქართველი ერისა და საქართველოს სამომავლო ცხოვრებაში.

მეთოდები

კვლევა ეფუძნება წყაროების, დოკუმენტების შინაარსობრივ ანალიზისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდს, მოვლენების ანალიტიკასა და ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრება-განზოგადებას.

შედეგები

ჩვენი აზრით, რუსეთის იმპერიაში, XIX საუკუნეში გატარებულმა საქალაქო მმართველობის რეფორმებმა, რა თქმა უნდა, სხვა გარემოებებთან ერთად, მთლიანობაში, ქართული საზოგადოება აზიარა შეზღუდული ფორმის დემოკრატიას. მისცა მას თვითმმართველობის მოდელის გაცნობის და გამოცდის საშუალება. მთელი რიგი ნაკლოვანებებისა და შემაფერხებელ გარემოებათა გათვალისწინებით, თბილისის თვითმმართველობა მაინც იქცა პრელუდიად სრულად დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული დამოუკიდებელი სახელმწიფოსკენ მიმავალ გზაზე.

1870 და 1892 წლის საქალაქო მმართველობის რეფორმები გახდა ხელშემწყობი ქართული პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბებისა და მთლიანად, სრულყოფილი პოლიტიკური ცხოვრების შექმნა-განვითარებისათვის. ამიტომ ისინი უნდა ითვლებოდნენ იმ წინაპირობათა რიცხვში, რომლებმაც განაპირობეს ის მოცემულობა, რომ 1918-1921 წლების საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, ქართული პოლიტიკური კლასი მზად აღმოჩნდა თავისი ფუნქციის სრულყოფილად შესასრულებლად.

მსჯელობა

საქართველოში, კერძოდ ქართლ-კახეთში, რუსეთის იმპერიული მმართველობის დამყარების შემდგომ, მალევე გამოჩნდა, რომ თბილისი, მაშინდელი აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, თავისი სამოქალაქო ცხოვრების წესითა და განვითარებით უფრო მეტად პროგრესული იყო, ვიდრე ამის მოლოდინი შეიძლება ყოფილიყო რუსეთის იმპერიის განაპირა გუბერნიის ცენტრისაგან. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადასტურება იყო მოქალაქეებში ჩამოყალიბებული აზრი ადგილობრივი წარმომადგენლობის შექმნის თაობაზე, რომელიც პრაქტიკულად საქალაქო თვითმმართველობის დაფუძნებას ისახავდა მიზნად. 1804 წლის 1 აპრილს ასტრახანის გენერალ-გუბერნატორი და საქართველოს მთავარმმართებელი პავლე ციციანოვი მიმართავდა თავად ვოლკონსკის და გადასცემდა თბილისის მოქალაქეების მოთხოვნას, რომ მათ მისცემოდათ უფლება თვითონვე აერჩიათ საკუთარი წარმომადგენლები, რომელთაც გადასცემდნენ მათი სახელითა და ინტერესების შესაბამისად მოქმედების რწმუნებულებას. რწმუნებულების კომპეტენცია შემოისაზღვრებოდა ე.წ. შინაგანი საქმეების გაძღოლაში. (Цицианов,1868:49). აქ ცხადია, თბილისის მოქალაქეებში, ძირითადად, არისტოკრატია და მსხვილ ვაჭართა ფენა უნდა ვიგულისხმოთ. რუსეთის იმპერიის ადგილობრივმა მმართველობამ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნა მიიღო, იგი არ გაითვალისწინა, თუმცა აღნიშნულ საკითხს დიპლომატიურად მიუდგა, იხელმძღვანელა იმ დროს არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად და იდეა, ადგილობრივ თვითმმართველობაზე, მთლიანად არც უარუყვია. ხელისუფლებამ მოქალაქეები გამოიყენა მხოლოდ იმ გადასახადების ასაკრეფად, რომელიც ქალაქის მოსახლეობისთვის იყო დაწესებული საიმპერიო ხელისუფლების მხრიდან. (Цицианов, 1868: 49). ამგვარად, მართალია, თბილისის თვითმმართველობის იდეური ჩანასახი და მისი პრაქტიკული

რეალიზების მცდელობა უკვე 1804 წელსვე აშკარა იყო, თუმცა ამ კუთხით არავითარი ხელშესახები შედეგი არ დამდგარა. საინტერესოა თვითონ ამ იდეის ჩასახვის წინაპირობების გარკვევაც, კერძოდ, როგორ მოხდა, რომ ქალაქში, სადაც სამეფო ხელისუფლება სულ რაღაც 3 წლის გაუქმებული იყო, მოქალაქეთა ნაწილს უკვე ჩამოყალიბებული და მოთხოვნის დონეზეც გაჟღერებული ჰქონოდა საქალაქო თვითმმართველობის იდეა. 1918 წელს, ივანე ჯავახიშვილი, ჟურნალ „პრომეთეში“ დაბეჭდილ თავის სტატიაში - „ქალაქები, საქალაქო წეს-წყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII სს.“, სხვა საკითხებთან ერთად მიმოიხილავდა თბილისის წეს-წყობილებისა და ცხოვრების ვითარების კონკრეტულ საკითხებს. (ჯავახიშვილი, 1918:44-61). ივანე ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ გაბატონებული აზრი, რომლის თანახმადაც საქალაქო მართვა-გამგეობის წეს-წყობილების საქართველოში შემოსვლა და დამკვიდრება რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის დროს მოხდა მცდარი იყო და საქალაქო თვითმმართველობის ჩანასახი საქართველოში იქამდე, უკვე XVII-XVIII საუკუნეებში არსებობდა. (ჯავახიშვილი, 1918: 61). იგი თავის დასკვნას, ძირითადად, ქალაქის მოურავის სახელოზე მის მიერ ჩატარებული ვრცელი და ნაყოფიერი ისტორიული გამოკვლევის საფუძველზე აკეთებდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით, რუსეთის იმპერიამდელ საქართველოში არ არსებობდა არჩევითობასა და თუნდაც ნაწილობრივ ავტონომიურობაზე დამყარებული საქალაქო თვითმმართველობის წინამორბედი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ინსტიტუცია. თუმცა ივანე ჯავახიშვილის პოზიცია მაინც გასაზიარებელია, რადგან საქალაქო თვითმმართველობის/წარმომადგენლობის ელემენტების ჩანასახის არ არსებობის პირობებში, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად განუვითარებელ საზოგადოებაში, ასე სწრაფად ვერ დაიბადებოდა ისეთი პროგრესული იდეა, როგორიც საქალაქო თვითმმართველობის უფლების მოპოვება იყო ქალაქ თბილისისათვის.

მიუხედავად წარუმატებელი მცდელობისა, თბილისის სამოქალაქო საზოგადოებას არ შეუწყვეტია ცდა საქალაქო თვითმმართველობის უფლების მოსაპოვებლად. საამისოდ დროც ერთი შეხედვით იდეალურად იყო არჩეული. რუსეთის იმპერიასისხლისმღვრელ „სამამულოომში“ იყო ჩაბმული და ნაპოლეონ ბონაპარტესა და მისი მრავალეთნიკური „ევროპული არმიის“ მხრიდან რუსეთის იმპერიის ოკუპაციის მცდელობასთან გამკლავებას ცდილობდა. ასეთ ვითარებაში, ცენტრის მხრიდან პერიფერიების კონტროლი თავისთავად უნდა შერბილებულიყო და პოლიტიკური დათმობების შესაძლებლობაც გაჩენილიყო. 1812-1813 წლებში თბილისის მოქალაქეთა საზოგადოებამ საიმპერიო ხელისუფლების წინაშე აღძრა შუამდგომლობა ქალაქ თბილისისათვის საქალაქო თვითმმართველობის უფლების მინიჭების თაობაზე. ასევე, წარადგინეს „ქალაქ თბილისის მმართველობის დებულების“ პროექტიც, რომელიც სამოქალაქო მმართველობის სტრუქტურას განსაზღვრავდა. (ზერიაშვილი, 1964:110). არც ამ მცდელობას მოჰყოლია დადებითი შედეგი, რაც იმპერიის იმდროინდელი შიდაპრობლემების ფონზე, წამოჭრილი საკითხის არარელევანტურობით

შეიძლება აიხსნას, თუმცა ამასთან ერთად, შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებს, კერძოდ 1812-1813 წლების კახეთის აჯანყებასა და ახალგაუქმებულ იმერეთის სამეფოში არსებულ პოლიტიკურ არასტაბილურობას. ამ ყველაფრის ფონზე, ცენტრალური ხელისუფლებიდან მომდინარე დამატებითი დათმობები იმპერიის სისუსტედ შეიძლება ყოფილიყო აღქმული, რაც წინააღმდეგობის მოძრაობას დამატებით მუხტს შესძენდა.

საბოლოოდ, თბილისის თვითმმართველობის საკითხის დადებითად გადაწყვეტა მაინც მოხერხდა და კავკასიის მთავარმმართებელი ევგენი გოლოვინი 1840 წლისათვის დაეთანხმა თბილისის საქალაქო თვითმმართველობის ორგანოს შექმნას. რუსული საიმპერიო ხელისუფლების მხრიდან ამ ნაბიჯის საჭიროება ახსნილი იყო იმით, რომ თბილისის მართვა-გამგეობის ზოგიერთი სფერო საჭიროებდა ქალაქის მაცხოვრებელთა მონაწილეობასა და ჩართულობას. ცხადია, მიღებულ გადაწყვეტილებასა და მის აღსრულებას სჭირდებოდა შესაბამისი სამართლებრივი ფუნდამენტი, რისთვისაც მიიღეს დებულება „თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის შესახებ“ და ქალაქის მოსახლეობას მისცეს უფლება აერჩია საქალაქო სათათბირო, რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ ქალაქის თავი და ხმოსნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არჩევნებში ქალაქის ყველა ფენა და მათ შორის სახელმწიფო გლეხებიც მონაწილეობდნენ, თუმცა რეალურად არჩევნების შედეგებზე გავლენის მოხდენა მხოლოდ ე.წ. ზედა ფენას შეეძლო. ჩამოყალიბებული თვითმმართველობის მოდელი არსობრივად ძალიან შორს იდგა რეალური თვითმმართველობისაგან და რეფორმის ერთადერთი პრაქტიკული შედეგი იყო ის, რომ თბილისის მოქალაქეებმა თვითდაბეგვრისა და გადასახადების აკრეფის უფლება მოიპოვეს. (ბერიაშვილი, 1964: 113-114).

XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის, რუსეთის იმპერიაში კაპიტალიზმმა განვითარების საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია. ეკონომიურად მომძლავრებული ბურჟუაზია აღარ კმაყოფილდებოდა ეკონომიკურ სფეროში მიღებული მეტ-ნაკლები თავისუფლებით და საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და გასამყარებლად პოლიტიკურ უფლებებსაც მოითხოვდა. ეს მოთხოვნა შეეხებოდა როგორც იმპერიის ცენტრალურ, ისე პერიფერიულ გუბერნიებსაც და ამ მხრივ გამონაკლისი არც თბილისი ყოფილა,რომელიც კავკასიის რეგიონის მთავარი კულტურულ-პოლიტიკური და სავაჭრო-სამეწარმეო ცენტრი იყო. შესაბამისად სწორედ თბილისი წარმოადგენდა გუბერნიის ბურჟუათა და არისტოკრატთა თავმოყრის ძირითად ცენტრს და მათაც ისევე სჭირდებოდათ პოლიტიკური უფლებები, რომელიც საქალაქო თვითმმართველობის თანმდევი უნდა ყოფილიყო, როგორც იმპერიის სხვა დანარჩენ გუბერნიებში. (ბენდიანიშვილი, 1958: 136) რუსეთის იმპერიაში აღნიშნული პერიოდი ერთგვარი დათმობების ხანას დაემთხვა, როდესაც იმპერატორი ალექსანდრე II ლიბერალური რეფორმების გატარებას ცდილობდა, ამცირებდა სახელმწიფო აპარატის კონტროლს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ მიმართულებებზე, აუქმებდა ბატონყმობასა და ამსუბუქებდა სახელმწიფოს რეპრესიულ პოლიტიკას.

ამგვარ ვითარებაში მოულოდნელი სულაც არ იყო, რომ საიმპერიო ხელისუფლება დათმობაზე წავიდოდა ბურჟუაზიასთან და ქალაქებში, რომლებიც ბურჟაზიის ძირითად სამოღვაწეო-სამოქმედო ცენტრებად ითვლებოდა, თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების სფეროთა რაოდენობას გააფართოვებდა. ასევე, ქალაქების კონტროლს გაინაწილებდა სწორედ შემლებულ ბურჟუაზიასთან.

1865 წელს შემუშავდა და 1866 წელს პეტერბურგში, ცენტრალური ხელისუფლების მიერ დამტკიცდა ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი მმართველობის დებულების ახალი პროექტი, რომელიც 1874 წლის ბოლომდე მოქმედებდა. აღნიშნულმა დებულებამ ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი მმართველობა ორ ნაწილად გაყო: საერთო – თბილისის მთელი მოსახლეობისათვის და კერძო – თბილისის მცხოვრებთა ცალკეული წოდებრივი თანრიგებისათვის. ამასთან განისაზღვრა არჩევნებში მონაწილეობის უფლების კრიტერიუმები: 21 წლის ასაკს მიღწეულ, წლიურად 100 მანეთი შემოსავლის მქონესა და ქალაქის წიგნში ჩაწერილ მოქალაქეს ჰქონდა ხმის უფლება. თუმცა ყველას ხმას ერთი წონა არ ჰქონდა, არამედ ამომრჩევლები 4 თანრიგად იყოფოდნენ: 1) მემკვიდრეობითი აზნაურები; 2) პირადი აზნაურები და საპატიო მოქალაქენი; 3) საკუთრების მქონე მოქალაქენი; 4) უძრავ ქონებას მოკლებული ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც დაბეგრილი იყვნენ საქალაქო გამოსაღებით. (ბერიაშვილი, 1964: 116-117).

პარალელურად რუსეთის იმპერიაში გრძელდებოდა მუშაობა საქალაქო რეფორმის პროექტზე, რომელიც იმპერიის ყველა თვითმმართველობის მქონე ქალაქზე უნდა გავრცელებულიყო. 1870 წელს რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრ ტიმაშევმა სახელმწიფო საბჭოს წარუდგინა საქალაქო რეფორმის პროექტი, რომელსაც დადებითი რეკომენდაცია მისცეს. წარდგენილი პროექტი იქცა კანონად და იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ დაამტკიცა 1870 წლის 11 ივნისს და ძალაში შევიდა 16 ივნისიდან, მისი გამოქვეყნების შემდეგ. საქალაქო რეფორმის უკვე კანონად ქცეული პროექტი 7 თავსა და 161 მუხლს მოიცავდა. (Полное, 1874: 823-839). აღნიშნული საკანონმდებლო აქტით ქალაქის თვითმმართველობის ორგანო იღებდა მთელ რიგ კომპეტენციებისა და უფლებამოსილება/ანგარიშვალდებულების პაკეტს. კერძოდ, ქალაქის თვითმმართველობის უფლებამოსილებაში შედიოდა: 1) საქალაქო რეფორმის კანონის საფუძველზე საქალაქო მეურნეობების მოწყობისა და მისი მართვის საკითხები; 2) ქალაქის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული საკითხები; საქალაქო ინფრასტრუქტურის მართვა-განვითარება – (ქუჩების, სკვერების, ტროტუარების, საზოგადოებრივი ბაღების, ბულვარების, წყალსადენების, კანალიზაციის, ხიდების, არხების, გადასასვლელების მოწყობა და მოვლა-პატრონობა, ასევე ქალაქის გარე განათებით უზრუნველყოფა); 3) ქალაქის მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა: ხალხის საკვებით უზრუნველყოფის ღონისძიებები, ბაზრობების მოწყობა, ჯანდაცვა და ხანძრისაგან დაცვა, ადგილობრივი ვაჭრობისა და მრეწველობის დაცვასა და განვითარებაზე ზრუნვა, ნავსადგურების, შრომის ბირჟებისა და საკრედიტო დაწესებულებების დაარსებაზე ზრუნვა; 4) ქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე

ქველმოქმედების განვითარება, საავადმყოფოებისა და თავშესაფრების მოწყობა და მათი მართვა, მონაწილეობა საჯარო განათლების გავრცელებაში, თეატრების, ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულებების დაარსება-მართვა. 5) მთავრობისათვის ინფორმაციისა და დასკვნების წარდგენა ქალაქის საჭიროებებთან დაკავშირებით და ამ თემებზე პეტიციების წარდგენა; 6) საჯარო ადმინისტრაციისათვის კანონით დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულება. (Полное, 1874: 823). რეალურად, 1870 წლის საქალაქო რეფორმა, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ყველაზე პროგრესული და მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის იმპერიაში. აღნიშნული რეფორმა საქალაქო თვითმმართველობებს აძლევდა იმაზე ბევრად მეტ უფლებამოსილებებს და აქცევდა ნაკლები სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, ვიდრე რუსეთის იმპერიაში იქამდე ოდესმე ყოფილა. ცხადია, არსებობდა მთელი რიგი პრობლემები და დაბრკოლებები, ძირითადად საარჩევნო ხმის უფლებასთან და მოსახლეობის კლასობრივ დიფერენცირებასთან მიმართებით, თუმცა მაინც არასწორია ბოლო წლებში მკვეთრად გამოხატული მცდელობები, რომლებიც აშკარა ტენდენციურობით გამოირჩევა 1870 წლის საქალაქო თვითმმართველობის რეფორმასთან მიმართებაში. მაგალითად, აღნიშნული რეფორმის დაწუნება იმ საფუძვლით, რომ თურმე ქალაქის საზოგადოებრივი მმართველობისათვის გადაცემული კომპეტენციების პაკეტი საკმაოდ მოკრძალებული იყო, როგორც ამას ზოგიერთ თანამედროვე გამოცემაში ვხვდებით. (ხვადაგიანი, 2021: 24). მთავარი, რაც აღნიშნულ დებულებას არ დაეწუნებოდა, სწორედ საქალაქო თვითმმართველობებისათვის გადაცემული კომპეტენციების პაკეტი იყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო მაქსიმუმზე მეტიც კი, რასაც რუსეთის იმპერიის იურისდიქციაში მოქცეული საქალაქო თვითმმართველობები შეიძლება დალოდებოდნენ.

1870 წლის დებულებას პროგრესულად თვლიდა ალექსანდრე ბენდიანიშვილიც, რომელიც მისი პროგრესულობის მთავარ გამოხატულებად, პირველ რიგში, იმას თვლიდა, რომ სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის დაკანონებული თვითნებობის აღკვეთა მოხერხდა და თუ იქამდე თვითმმართველობის თითოეული შეზღუდული გამოვლინება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო, ამჯერად თვითმმართველობის ორგანოს სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატზე დამოკიდებულების ფარგლები და კონტროლი შემცირდა (ბენდიანიშვილი, 1960: 11-13).

1870 წლის საქალაქო დებულებამ წინ წამოსწია ბურჟუაზიის ინტერესები და მან ანგარიში არ გაუწია მოსახლეობის წოდებრივ დაყოფას. მცხოვრებთა ეკონომიური კატეგორიების შესაბამისად ქალაქებში ყალიბდებოდა ამომრჩეველთა სამი თანრიგი. 1) მსხვილი უძრავი ქონების მფლობელნი და ვაჭარ-მრეწველები, 2) საშუალო შეძლების მოქალაქენი და 3) წვრილი ვაჭარ-ხელოსნები. თითოეული თანრიგი ირჩევდა ხმოსანთა მესამედს (24 ხმოსანს). (ბერიაშვილი, 1964: 117). ახალი დაყოფის შემოღების წინაპირობად უნდა განვიხილოთ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ, 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმება, რის შედეგადაც, მართალია ძველ თავად-აზნაურობას შეუნარჩუნდა წოდება,

თუმცა მოცემულობა იმდენად შეიცვალა, რომ მას თავისი გავლენა აუ-ცილებლად უნდა მოეხდინა ქალაქების თვითმმართველობების წესშიც. ცხადია, რომ თავად-აზნაურობის, ძველი პირველ თანრიგოსნების, დიდი ნაწილი პირველ თანრიგში რჩებოდნენ და მათი სახელი მსხვილი უძრავი ქონების მფლობელთა შორის იქნებოდა. თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მათი პოზიციები მაინც ცუდად გამოიყურებოდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ვაჭარ-მრეწველები მათ პირდაპირ გაუტოლეს და ამასთან ერთად, შეცვლილი ეკონომიკური სურათი თავისთავად იწვევდა მოცემულობას, როდესაც ძველი თავად-აზნაურობა დროთა განმავლობაში დაკარგავდა თავის მსხვილ უძრავ ქონებას და ის გადავიდოდა ვაჭარ-მრეწველების, ანუ ბურჟუაზიის საკუთრებაში და ეს წოდება გახდებოდა ქალაქის პოლიტიკის ერთპიროვნული განმსაზღვრელი.

თბილისში, 1870 წლის საქალაქო რეფორმის გატარება 1874 წლის ნოემბერში დანიშნულ არჩევნებს დაემთხვა. ამ რეფორმას თბილისის საზოგადოება დიდი იმედებით ელოდა, რომლებიც გარკვეულწილად გადაჭარბებულიც იყო. მაგალითად, სერგეი მესხი გაზეთ „დროების“ ფურ-ცლებზე წერდა და მკითხველს აუწყებდა, რომ თითქოსდა ახალი წესდებით, ქალაქის გამგეობა ბევრ შემთხვევაში თითქმის განუკითხავი გამგებელი ხდებოდა ქალაქის შემოსავალ-გასავლისა და საკუთრებისა. რომ ახალი წესდება და მის საფუძველზე მოქმედი თვითმმართველობა იყო გზა ქალაქის განვითარებისა და მის მცხოვრებთა კეთილდღეობისაკენ. ამასთან, ს. მესხი მოუწოდებდა მკითხველსა და ამომრჩეველს, მხარი დაეჭირათ საზოგადო საქმეთა გულშემატკივარი კანდიდატებისათვის. (მესხი, 1874: 1).

გადაჭარბებული მოლოდინები არ გამართლდა, რადგან საქალაქო დებულება არჩევნებში გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა უძრავი ქო-ნების მსხვილ მესაკუთრეებსა და ვაჭარ-მრეწველებს, რომლებიც პირველ და მეორე საარჩევნო თანრიგში იყვნენ გაერთიანებულები. რეფორმის გა-ტარების პირველ წლებში, თბილისში, ხმის უფლებით სარგებლობდა 4500-მდე მოქალაქე (მოსახლეობის 4%). პირველი თანრიგი – 45, მეორე – 227, მესამე – 4228. პირველი და მეორე თანრიგის ამომრჩევლები ერთად შეადგენდნენ ცენზიან მოქალაქეთა მხოლოდ 6%-ს (ხოლო მთლიანი მოსახლეობის 0.24 %-ს.) და ისინი სათათბიროში ირჩევდნენ 48 ხმოსანს, მესამე თანრიგის ამომრჩევლები (ხმის უფლების მქონეთა 94%) კი – 24 ხმოსანს. (ბენდიანიშვილი, 1982: 22). რეალურად გამოდიოდა, რომ ქა-ლაქის ბედს და მოსახლეობის 99,76 %-ის ცხოვრების ხარისხს ქალაქის მცხოვრებთა 0.24 % წყვეტდა, თუმცა თუ ისინიც ვერ შეთანხმდებოდნენ, იგივეს გაკეთება მათგან საერთო აზრზე მყოფ, მოსახლეობის 0.18 %-ს შეეძლო. ამგვარი უსამართლობის ფონზე ცხადია, რომ ის გადაჭარბებული მოლოდინები, რომლითაც ქართველი ინტელიგენცია 1870 წლის საქალაქო რეფორმის თბილისში გატარებას ელოდა და ქალაქის მოსახლეობასაც იგივე აზრს უნერგავდა ბეჭდვითი საშუალებებით, მალევე გაქრა. ამის საუკეთესო მაგალითი იმავე სერგეი მესხის მიერ, იგივე გაზეთ „დროებაში“ 1878 წელს გამოქვეყნებული წერილია, რომელიც არასრული 4 წლით ადრე მკითხველსა და ქალაქს განვითარებისა და კეთილდღეობისაკენ მიმავალ გზად ახალ

საქალაქო რეფორმას უხატავდა. ამჯერად კი, უყურებდა რა ამ რეფორმის შედეგებს თბილისში და ბურჟუაზიის მიერ დაარსებულ ფაქტობრივ ოლიგარქიას, სასოწარკვეთილი წერდა: ,,ერთი უბედურება გვჭირს, მაინც-და-მაინც გამოჩენილ, მდიდარ ხალხს ვეძებთ; თითქო ჩვენ გვგონია, რომ თუ არ შეძლებული, თუ არ ფულიანი კაცი, ისე ვერავინ გაარიგებს საქმეს, ისე ვერავინ მოახერხებს ჩვენს წარმომადგენლობას... რაც უფრო მდიდარია კაცი, ის უფრო ნაკლებად ჰზრუნავს ხოლმე სხვებზე, ღარიბებზე, საზოგადო სარგებლობის მოტანაზე....და ამისთანა ხალხს ვირჩევთ ხოლმე ჩვენ წინამძღოლებად, ჩვენ წარმომადგენლებათ!“ (მესხი, 1978: 1). თუმცა ამ სასოწარკვეთილი პათოსის მიღმა მაინც ჩანდა, რომ ისეთი განათლებული და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩახედული კაციც კი, როგორიც სერგეი მესხი იყო, ბოლომდე მაინც ვერ იაზრებდა შექმნილი მდგომარეობის სიმძიმეს. იგი თითქოს ამომრჩეველს მოძღვრავდა, მდიდარი კაცი არ ავირჩიოთ ჩვენს წარმომადგენლად, თორემ ხომ დავინახეთ, ეგენი ხალხზე კი არა მხოლოდ საკუთარ სიმდიდრეზე ზრუნავენო, ამ დროს კი გაუგებარი რჩებოდა თუ რომელ ამომრჩეველს მიმართავდა პატივცემული პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. განა ის ვერ ხედავდა, რომ არავითარი ამომრჩეველი, ამ სიტყვის დემოკრატიული გაგებით, არ არსებობდა და მდიდარ ბურჟუებს, ისევ სხვა მდიდარი ბურჟუები ირჩევდნენ და თბილისის მინიმუმ 212 ბურჟუას ისე უპრობლემოდ შეეძლო ქალაქის საბჭოში მუდმივი უმრავლესობა ჰქონოდა, რომ ქალაქის სხვა არცერთი მაცხოვრებელი არც გახსენებოდათ?! ამ პრობლემის გადაწყვეტა არც ჩვეულებრივ ამომრჩეველს, არც ხმის უფლების გარეშე დარჩენილ თბილისის მოსახლეობის 95 %-ზე მეტსა და არც ინტელიგენციას შეეძლო.

ქალაქის თვითმმართველობის რეალურ მდგომარეობას იდეალურად აღწერდა ნიკო ნიკოლაძის სიტყვები, რომლებიც მან 1874 წელს თბილისში განხორციელებული საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ქალაქის საბჭოს მიუძღვნა: „ნუთუ ჩვენი ქალაქი და ჩვენი ასი ათასიანი მოსახლეობა სწორად და პროპორციულადაა წარმოდგენილი ახლანდელ საბჭოში? დადიხარ ქუჩაში და ხედავ ისეთ პირებს, რომელნიც საბჭოს ჩინებული წევრები იქნებოდნენ... შედიხარ საბჭოში და გაოცებს ეს კოლექცია – ლამის მთქნარებით მოკვდნენ. ალბათ უმძიმთ დაკისრებული როლის შესრულება. ნუთუ მუდამ ასე იქნება.“ იმ მომენტში ვითარების უკეთესობისკენ შეცვლა მხოლოდ გაბატონებული ბურჟუაზიის შიგნით იდეოლოგიური დაპირისპირების გაჩენას შეეძლო. ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო, რადგან ქალაქის მდიდარ ვაჭარ-მრეწველთ კონკურენტი სოციალური კლასი არ ჰყავდათ, რომელიც მათ თბილისის მართვის სადავეებში შეეცილებოდა. შესაბამისად, არ არსებობდა ბუნებრივი ფაქტორი, რომელიც ბურჟუაზიის მუდმივ ერთიანობას უზრუნველყოფდა. მარტივი პოლიტიკური აქსიომა ამ შემთხვევაში სწორედ ქალაქის და მისი მოსახლეობის სასარგებლოდ ამუშავდა და ქალაქის საბჭოში, მმართველ კლასში შიდა დაპირისპირება დაიწყო, რამაც პოლიტიკური ცხოვრებაც გამოაღვიძა და ოპოზიციას მისცა შესაძლებლობა საკუთარი იდეები და პოზიციები ნაწილობრივ მაინც

გაეტანა ქალაქის საბჭოში. გიორგი თუმანიშვილი 1897 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულ წერილში მიუთითებდა მე-19 საუკუნის 70-იანი წლების თბილისის თვითმმართველობის შიგნით არსებულ სხვადასხვა პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივ და იდეოლოგიურ მიმართულებებზე. მისი მტკიცებით, ძველი ყაიდის ვაჭრები აზიურ მიმართულებას ადგნენ, ხოლო ახალგაზრდა მოხელეები, ექიმები, მრეწველები და ინჟინრები – ევროპულს. აზიური მიმართულების ხმოსნებს სიახლეები აშინებდათ და საქალაქო მეურნეობის მართვის წესებში მათ დანერგვას მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო ევროპული მიმართულების ხმოსნები პირიქით, ქალაქის კეთილმოწყობისათვის აუცილებლად თვლიდნენ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებასა და ევროპული გამოცდილების გაზიარებას. თუმანიშვილის თქმით, თუ საწყისი 4 წლის განმავლობაში ამ ორ მიმართულებას შორის ერთგვარი ძალთა ბალანსი შენარჩუნებული იყო, შემდგომში გამარჯვების სასწორი ევროპული მიმართულების მომხრეთა სასარგებლოდ იხრებოდა. (ბენდიანიშვილი, 1982:23). ამგვარ ვითარებაში, ცხადად გამოჩნდა, რომ თუნდაც ნაკლულოვანი და ოლიგარქიისაკენ მიდრეკილი ბურჟუაზიის ბატონობა, არსებულ სამართლებრივ წესრიგსა და ჩარჩოებში, მაინც ბევრად უკეთესი იყო ვიდრე მეფის რუსეთის თვითმპყრობლური რეჟიმი, რომელიც საპოლიციო მართვის სტილის მიმდევარი იყო. ასეთ ვითარებაში, თვით იმ მოღვაწეებსაც კი, რომლებიც არ მალავდნენ ქალაქის თვითმმართველობის მთელ რიგ ნაკლოვანებებს და ყოველმხრივ აკრიტიკებდნენ მას, უწევდათ, რომ მიუხედავად ყველაფრისა მაინც დაეცვათ არსებული საქალაქო თვითმმართველობის სისტემა. მაგალითად, ნიკო ნიკოლაძეს ქალაქის თვითმმართველობის იდეისა და მისი თუნდაც არსებული, არასაკმარისად ეფექტური მოდელის დაცვა ძალიან ხშირად უწევდა და ამ კუთხით მისი პოზიცია ყოველთვის მტკიცე და ლოგიკური იყო. მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, იგი არ მოერიდა ,,იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ პუბლიცისტებთან კამათს, რომლებიც უფრო რეაქციონერების პოზიციიდან გამოდიოდნენ. ამ იდეოლოგიური ჯახის დროს, ნიკოლაძე სამართლიანად ეთანხმებოდა ქალაქის თვითმმართველობის მთელი რიგი სისუსტეების არსებობას, თუმცა განსხვავებით იდეური მოწინააღმდეგეებისაგან, იგი არსებული პრობლემების წყაროდ უშუალოდ თვითმმართველობის იდეას კი არ განიხილავდა, არამედ იმ პირობებს, რომლებშიც საქალაქო თვითმმართველობის იდეის და ინსტიტუტის რეალიზება ხდებოდა. კერძოდ, მეფის რუსეთის თვითმპყრობლურ პოლიტიკასა და არსებულ კანონმდებლობას, რომელიც თავის მხრივ, სწორედ თვითმყრობლური პოლიტიკის განმტკიცება-დამაგრების პრაქტიკულ ბაზისს ქმნიდა.

იმდროინდელი პრესის, საზოგადო და პოლიტიკური სუბიექტების მოღვაწეობის და უშუალოდ მოქმედი თბილისის თვითმმართველობის ორგანოს მუშაობის შეფასების მცდელობისას, ობიექტურობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ 1870 წლის საქალაქო თვითმმართველობის რეფორმის შედეგად ქალაქ თბილისის ცხოვრებაში თვითმართველობა უფრო დიდ როლს ასრულებდა ვიდრე იქამდე ოდესმე შეუსრულებია. ამასთან, ეს როლი

თანდათან უფრო იზრდებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქის საბჭო ნელნელა ითვისებდა კანონით მისთვის გადაცემულ სამოქმედო სფეროებს. ოპოზიცია, მიუხედავად მისი სიმცირისა და უღონობისა, თანდათან უკეთ უღებდა ალღოს ბურჟუაზიის წიაღში გაჩენილ იდეოლოგიურ წინააღმდეგობებს და ამის გამოყენებას ქალაქის და მოსახლეობის ინტერესების სასიკეთოდ ახერხებდა კიდეც. მაგალითისათვის, მხოლოდ ის ფაქტებიც გამოდგება, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლების მიწურულიდან, 80-იანი წლების მიწურულამდე, დაახლოებით 10-წლიან პერიოდში, სწორედ თბილისის თვითმმართველობის სახელს უკავშირდება მნაცაკანოვისა და ვერის ხიდების მშენებლობა, ავჭალიდან თბილისში წყალსადენის გამოყვანა, ცხენის ტრამვაის (ე.წ. კონკა) შემოტანა ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინდელი ერევნის (დღევანდელი თავისუფლების) მოედანზე მუნიციპალური სასახლის მშენებლობა და სხვა მთელი რიგი პროექტები, რომლებმაც თბილისისა და მისი მაცხოვრებლების ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალეს. პოლიტიკური კუთხითაც, სწორედ საქალაქო რეფორმამ და მის საფუძველზე გამოცოცხლებულმა პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა შექმნა და განავითარა ახალი პოლიტიკური კულტურა, გაზარდა ქართული ოპოზიციური ძალების მზაობა და უნარები, მოამზადა ახალი ინტელექტუალური ელიტა, რომელმაც ბეჭდვითი და პოლიტიკური საქმიანობა ერთმანეთთან იმდენად შეათავსა, რომ საბოლოოდ მაინც შემლო ქალაქის ცხოვრებაზე სასიკეთო გავლენის მოხდენა და რაც მთავარია, უკეთესი პერსპექტივების გაჩენა არა მხოლოდ თბილისის, არამედ უშუალოდ, ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების უმეტესობაც სწორედ ამ განვითარების შედეგი იყო, რომლის მიღწევაშიც მემარცხენე-პროგრესულ ფრთას, ნიკო ნიკოლაძის მეთაურობით, უდიდესი წვლილი ედო. მთლიანობაში, თბილისისათვის და მთლიანად ქართული პოლიტიკური აზროვნებისათვის 1874-1890 წლებს შორის არსებული დრო უნდა ჩაითვალოს გარდამავალ პერიოდად, როდესაც საქალაქო მმართველობის ძველი, უაღრესად შეზღუდული და არადემოკრატიული მოდელის შეძლებისდაგვარი გადემოკრატიულება და ფუნქციონალური ზრდა, ასევე პოლიტიკური სუბიექტებისათვის თვითორგანიზაციის პრაქტიკული და სამართლებრივი სივრცის გამოჩენა და ათვისება ხდებოდა. ამ პერიოდში, პოლიტიკური ელიტა მომზადდა ბევრად უფრო დიდ გამოწვევებთან შესაჭიდებლად, ვიდრე უბრალოდ ლოკალური საქალაქო თვითმმართველობის გაძღოლა ან კონსტრუქციული, შედეგზე ორიენტირებული ოპოზიციური მოღვაწეობა იყო. ერთადერთი სერიოზული შეზღუდვა იყო ის, რითაც ამ სიკეთეების მომტანი რუსული საქალაქო მოწყობის კანონმდებლობა თავისივე შექმნილ დადებით მხარეს ისე აბალანსებდა, რომ მას რუსეთის იმპერიის ცენტრალური ხელისუფლებისათვის საფრთხეები არ შეექმნა.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც იმპერატორ ალექსანდრე III-ის მიერ შეცვლილი მართვის კურსის შესაბამისად რუსეთის იმპერიაში დაწყებულმა კონტრრეფორმების ტალღამ საქალაქო

თვითმმართველობებამდე მიაღწია. 1892 წელს მიიღეს ახალი საქალაქო თვითმმართველობის დებულება, რომელმაც ფორმალურად მოსპო ის მიღწევები, რომლებიც 1870 წლის დებულების შედეგად ჰქონდათ საქალაქო საბჭოებსა და მის შემადგენლობაში მყოფ პოლიტიკურ სუბიექტებს. 1892 წლის საქალაქო კონტრეფორმის გატარებას შედეგად მოჰყვა ქალაქის თვითმმართველობებზე ადმინისტრაციის მკაცრი კონტროლის დამყარება, რამაც არსებითად მოსპო ქალაქის თვითმმართველობა. მაღალი საარჩევნო ცენზის შემოღების გამო ქალაქის საზოგადოებრივ მმართველობაში მონაწილეობის შესაძლებლობა დაკარგა მრავალრიცხოვანმა წვრილ-ბურჟუაზიულმა ფენამ. იქ თითქმის განუყოფლად გაბატონდა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია.(ბენდიანიშვილი, 1960:31). მიუხედავად იმისა, რომ წინა საკანონმდებლო მოწესრიგება მსხვილსა და საშუალო ბურ-ჟუაზიას აძლევდა იმის საშუალებას, რომ მხოლოდ საკუთარი ძალებით მოეხერხებინათ უმრავლესობის ჩამოყალიბება ქალაქის საბჭოში, მათ მაინც უწევდათ ოპოზიციის კრიტიკული ხმის მოსმენა და ზოგჯერ მისი გათვალისწინებაც. 1892 წლის საქალაქო დებულება კი მათ ქალაქის საბ-ჭოში პრაქტიკულად უკონკურენტოდ და ოპოზიციის გარეშე დარჩენის საშუალებასაც კი აძლევდა.

ახალი საქალაქო დებულება თბილისში გატარდა 1893 წელს. ამ დებულების თანახმად თბილისის თვითმმართველობის არჩევნებში მონა-წილეობის უფლება ეძლეოდა ყოველ მოქალაქეს თუ იგი იყო რუსეთის ქვეშევრდომი და ქალაქის ტერიტორიაზე ფლობდა 1 500 მანეთად ღირებულ უძრავ ქონებას. საარჩევნო უფლება ეძლეოდა აგრეთვე პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს. უფრო მაღალი ქონებრივი ცენზი დაწესდა რუსეთის იმპერიის ორივე დედაქალაქში (იგულისხმებოდა პეტერბურგი და მოსკოვი), სადაც უძრავი ქონების მინიმალურ სავალდებულო ღირე-ბულებად 3 000 მანეთი განისაზღვრა. (Полное, 1895:437). შეზღუდვები საარჩევნო უფლებების გარდა, უშუალოდ უკვე არჩეულ საქალაქო მმართველობის ორგანოების საქმიანობასაც ეხებოდა, რომელიც საიმპერიო ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ გადადიოდა. მაგალითად, საქა-ლაქო მმართველობის დადგენილებები და განკარგულებები მხოლოდ გუბერნატორისაგან მათი დამტკიცების შემდეგ შედიოდა ძალაში (Полное, 1895: 443). უფრო მეტიც, რეალურად არჩევნები კი ტარდებოდა, მაგრამ ნაწილობრივ იგი მაინც გაუქმებულად შეიძლება ჩათვლილიყო, რადგან ამომრჩევლის ნებას ბევრად ნაკლები წონა ენიჭებოდა, ვიდრე რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრისას, რადგან სწორედ შინაგან საქმეთა მინისტრის დისკრეციულ უფლებამოსილებაში შედიოდა საქალაქო თვითმმართველობის ორგანოში თანამდებობებზე არჩეული პირების დამტკიცება. ხოლო თუ რაიმე მიზეზის გამო, თანამდებობაზე არჩეული პირი არ იქნებოდა დამტკიცებული, მის არჩევით ადგილს დაიკავებდა შინაგან საქმეთა მინისტრის ან გუბერნატორის მიერ პირდაპირი წესით დანიშნული პირი. (Полное, 1895:451). თუმცა თბილისისათვის ყველა შეზღუდვა ამით არ ამოიწურებოდა, მაგრამ 1899 წლისათვის მაინც, საიმპერიო ხელისუფლებამ ამიერკავკასიის ქალაქებისათვის დამატებით

განსაკუთრებული წესები შემოიღო. მთავარმმართებელს უფლება ეძლეოდა თავის შეხედულებისამებრ საქალაქო სათათბიროდან გამოეყვანა არასაიმედო ხმოსანი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გაეუქმებინა ქალაქის თავის არჩევითობა და თავად დაენიშნა საიმედო პირი (Туманишвили, 1902: 23-36).

ახალი საქალაქო დებულება თვითმმართველობაში არამხოლოდ განამტკიცებდა მსხვილი ბურჟუაზიის წინანდელ გაბატონებულ მდგომარეობას, არამედ კიდევ უფრო დიდ ძალაუფლებას აძლევდა მას. მაღალი საარჩევნო ცენზის დაწესებით, წვრილი ბურჟუაზია პრაქტიკულად ჩამოშორებული იყო საარჩევნო პროცესებისაგან და მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც ერთეული გამონაკლისების გარდა მთლიანად სომხური იყო, საკუთარი კერძო ინტერესების გატარება კიდევ უფრო უმარტივდებოდა. ქართულ პოლიტიკურ ძალებს პრაქტიკულად არჩევნები არჩევნებამდე ჰქონდათ წაგებული, რაც სიახლე არ იყო და 1970 წლის საქალაქო დებულებითაც იგივე შედეგი დგებოდა, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მათ სამართლებრივ-პოლიტიკური მანევრირების შანსებიც კი არ დაუტოვა ახალმა კანონმა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მაშინდელ სამოქალაქო, პოლიტიკურ და სამართლებრივ საქმეებში ისეთი ჩახედული და განსწავლული ადამიანიც კი, როგორიც ნიკო ნიკოლაძე იყო, „ინტელექტუალურად ვერ მოერია“ საქალაქო მმართველობის ახალ წესებს, მან და არა მხოლოდ მან, ზოგადადაც ვერ მონახეს ვერცერთი გზა, რომლითაც ქართული პოლიტიკური ჯგუფები არსებული კანონმდებლობის პირობებში შეძლებდნენ „კანონმდებლობისთვის შემოვლას“ და წარმატების მიღწევას. არა იმიტომ, რომ მათ ან ცდა დააკლეს ან ჭკუა-გონება არ ჰყოფნიდათ, არამედ ამ კუთხით რამის შეცვლა შეუძლებელი იყო. სიტუაცია კიდევ უფრო დაამძიმა ნაციონალურ ნიადაგზე ჩამოვარდნილმა დაპირისპირებამ ქართველებსა და სომხებს შორის და ამ ვითარებაში, ნიკო ნიკოლაძის მხრიდან, თბილისის სათათბიროში პროპორციულ ნაციონალურ წარმომადგენლობათა შესახებ წამოყენებული თეორია, რომელიც პროპორციის საფუძველად არა ცენზიან მოქალაქეებს, არამედ ქალაქის მთელ მოსახლეობას მოიაზრებდა, პროგრესულზე ან ინოვაციურზე მეტად ერთგვარი სასოწარკვეთილი სვლა იყო. ნიკო ნიკოლაძეზე უკეთ ვის უნდა სცოდნოდა, რომ მისი პროექტი თავიდან ბოლომდე წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსეთის იმპერიის ახალ კანონმდებლობასთან საქალაქო თვითმმართველობის შესახებ. თუმცა ჩვენი აზრით, ამ მოვლენებში დადებითიც უნდა დავინახოთ, რომელიც შესაძლოა სამომავლო პერსპექტივაში იმაზე მნიშვნელოვანი და სასიკეთო აღმოჩენილიყო, ვიდრე უბრალოდ 1870 წლის საქალაქო რეფორმის შედეგების შენარჩუნება იყო, რადგან უკვე ჩამოყალიბებულ, გაზრდილ და პრაქტიკულ პოლიტიკურ-სამეურნეო ცხოვრებას ნაზიარებ პოლიტიკურ ელიტას სრულყოფილი განვითარებისათვის ორი ვარიანტიდან ერთ-ერთი სჭირდებოდა: 1) საყოველთაო საარჩევნო უფლებითა და მმართველობის დემოკრატიული კანონებით მოწესრიგებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სივრცე, რომლის შექმნაც რუსეთის იმპერიის არსებობის პირობებში შეუძლებელი იყო და 2) ახალი გამოწვევების გაცნობიერება. ამ

უკანასკნელში უნდა ვიგულისხმოთ: ა) სახელმწიფოს რეპრესიულ აპარატთან ინტელექტუალური დაპირისპირება, მასთან თანამშრომლობის პარალელურად; ბ) მეტი ფიქრი ალტერნატივებზე, თუნდაც ახლო მომავალში წინასწარ უშედეგობისთვის განწირულზე, მაგრამ მუშაობის პროცესში საზოგადოებრივი ძალების კონსოლიდაციისათვის; გ) სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევარ ჯგუფებს შორის მკაფიო გამყოფი ხაზების გაჩენა და შესაბამისად, მათ შორის კონკურენციის ზრდა საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად; დ) მთელი იმ დაგროვილი პოლიტიკური და ინტელექტუალური ენერგიის საქალაქო თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობისა და სახელმწიფო დაწესებულებების კედლებს გარეთ გამოტანა და ამ გზით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

თბილისის სივრცეში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს ზემოთ აღნიშნულ ორ ვარიანტს შორის არჩევანი არ ჰქონიათ, თორემ არჩევანის არსებობის პირობებში, სავარაუდოდ პირველ ვარიანტს აირჩევდნენ. რეალობაში, რუსეთის იმპერიის შეცვლილმა პოლიტიკამ და 1892 წლის საქალაქო მმართველობის დებულებამ, სხვა დანარჩენ სფეროებში გატარებულმა კონტრრეფორმებმა, ქართულ და არა მხოლოდ ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ძალებს მხოლოდ მეორე ვარიანტი დაუტოვეს. შესაბამისად, ზემოთ პუნქტებად ჩამოთვლილი საკითხების შედეგებმაც არ დააყოვნა.

ქართული საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი აღმოჩნდნენ რა ისეთ სიტუაციაში, რომ მათთვის თბილისის საბჭოში მოსახვედრი კარი დაიხურა, მათ ხელი არ ჩაუქნევიათ არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი წესებით „თამაშის“ გაგრძელებაზე. ჩვეულებრივად განაგრძობდნენ თანამშრომლობას სახელმწიფო სტრუქტურებთან, ცდილობდნენ ქალაქის საბჭოს მუშაობაზე ზემოქმედებას და რაც მთავარია, რჩებოდნენ მაქსიმალურად კონსტრუქციულები, უხეშად არ გადადიოდნენ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ზღვრებს და ამგვარად ლეგალურად რჩებოდნენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე.

მეტმა ფიქრმა ალტერნატივებზე შექმნა და წინ წამოსწია უამრავი პროექტი და თეორია სხვადასხვა მოღვაწეებისა და პოლიტიკური ჯგუფების მიერ. მაგალითად: ნიკო ნიკოლაძის პროექტი პროპორციული ნაციონალური წარმომადგენლობის დაწესების შესახებ; გიორგი თუმანიშვილის მიერ ჩამოყალიბებული საუბნო საარჩევნო სისტემაზე გადასვლის მოდელი და თანამედროვე გაგებით, პროპორციული საარჩევნო სისტემის მაჟორიტარულით ჩანაცვლება (იგივეს ცალკე ითხოვდა ნიკო ნიკოლაძეც, ოღონდ მცირე განსხვავებებით.); არჩილ ჯორჯაძის მიერ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის შექმნა-წამოყენება. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გამოკვეთილი 5 ძირითადი საკითხიდან ერთ-ერთი სწორედ თბილისის თვითმმართველობას და მის არჩევნებში ერთიანი ძალითა და შეთანხმებული პროგრამით მონაწილეობას ეხებოდა; (ბენდიანიშვილი, 1960: 40) იაკობ გოგებაშვილის მიერ ნიკო ნიკოლაძის „პროპორციული ნაციონალური წარმომადგენლობის“ პროექტისადმი მხარდაჭერა და მისი ხმამაღალი გამოსვლა თბილისის რეალური პრობლემებისა და ამ

პრობლემების გადაწყვეტის გზების მისეული ხედვების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში გამოტანა; (Гогебашвили, 1897: 31-32). გაზეთ „ივერიის“ განსაკუთრებული გააქტიურება და ევროპული სამართლებრივ-პოლიტიკური პრინციპების დაუფარავი ქადაგება და მოთხოვნა, მათ შორის პირდაპირი საარჩევნო უფლების მინიჭებისა და სახელმწიფო კონტროლის შემცირების კუთხით და სხვა.

სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიისა და ასევე ეროვნული კუთვნილების პოლიტიკურ ჯგუფებს შორის გაჩნდა კონკურენცია საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად და რადგანაც ეს იდეოლოგიურ-პოლიტიკური ჭიდილები ახალი წესრიგის პირობებში ხდებოდა, ისინი სრულიად ხელმისაწვდომი იყო აუდიტორიისათვის. ამ აუდიტორიას კი ქალაქ თბილისის საბჭოს ხმოსნები ან რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ჩინოვნიკები კი არა, მთლიანი საზოგადოება წარმოადგენდა. აღნიშნული გამოიხატა შემდეგ დაპირისპირებებში: ნოე ჟორდანიასა და ნიკო ნიკოლაძის იდეოლოგიურ დისკუსიაში, სადაც ცენტრალური როლი სწორედ საქალაქო თვითმმართველობის საკითხსა და მის ალტერნატიულ მოწესრიგებას ეკავა; ნოე ჟორდანიასა და არჩილ ჯორჯაძის პოლემიკაში, რომლითაც ე.წ. „მეორე დასისა“ და „მესამე დასის“ იდეოლოგიური დაპირისპირება დაიწყო; ნოე ჟორდანიასა და ილია ჭავჭავაძის კამათში; ქართველებსა და სომხებს შორის ნაციონალურ ნიადაგზე გაჩაღებულ პოლიტიკურ ბრძოლასა და სამოღვაწეო ასპარეზზე „ახალგაზრდა სომეხთა ჯგუფის“ გამოსვლაში; გიორგი წერეთლის მიერ სომეხთა და ქართველთა შუამავლობის მცდელობებში, რათა წინასაარჩევნოდ ერთიანი, მრავალნაციონალური კანდიდატთა სიები შედგენილიყო; გიორგი თუმანიშვილის დემოკრატიულ იდეებსა და მის დაპირისპირებაში მემარცხენე ძალებთან.

ამ ყველაფრის ფონზე, შემუშავებული და წარდგენილი არაერთი პროექტისა თუ ინიციატივის შემდეგ, რომელთაგანაც ყველას ჰქონდა თავისი ხარვეზები და ძლიერი მხარეები, დღიდან დღემდე იმდენად იხვეწებოდა, ვითარდებოდა პოლიტიკური აზროვნება და საზოგადოებრივ აზრთა დუღილის პირობებში იმდენად უმჯობესდებოდა საზოგადო მოღვაწეთა ხედვის არეალი, საზოგადო საჭიროებების აღქმა და მისი გამოხატვის ფორმები, რომ 1892 წლის საქალაქო კონტრრეფორმის მიერ ირიბად, არაპირდაპირი განზრახვით მოტანილი პროგრესის ტემპებთან 1870 წლის, ნამდვილად პროგრესული საქალაქო რეფორმის შედეგად შექმნილი პოლიტიკური რეალობისა და მისი განვითარების ტემპის შედარება არც კი შეიძლებოდა.

ეს განვითარება იმაშიც გამოიხატა, რომ საზოგადოების და მისი რჩეული პოლიტიკური ჯგუფების ხმამ იმაზე უფრო მეტად შეაღწია ქალაქ თბილისის თვითმმართველ ორგანოში, ვიდრე ეს ხმა გარეთ ისმოდა. თბილისის ქალაქის საბჭოს მცირე კომისიის წევრებმა: ბაბოვმა, ჭრელაშვილმა და დოლუხანოვმა ერთად შეადგინეს ახალი საქალაქო დებულების პროექტი, რომელიც იქამდე არსებულ პროექტთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო და მათ შორის ნიკო ნიკოლაძის პროექტსაც ჯობდა. მართალია ნიკოლაძის პროექტის ძირითადმა არსმა მათ პროექტშიც ჰპოვა ასახვა, კერძოდ ხმის

უფლების ნაწილში, თუმცა ისინი გაემიჯნენ ამომრჩევლის ეროვნებებად დაყოფასა და მათი პროპორციული წარმომადგენლობის დანერგვას, რომლითაც სხვადასხვა ამომრჩევლების ხმას სხვადასხვა წონა ედებოდა და თან ეს ყველაფერი ეროვნულობის, ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე ხდებოდა, დისკრიმინაციული იყო. ამ სამეულის პროექტით ნ. ნიკოლაძის პროექტის საპირწონედ ფართოვდებოდა საქალაქო თვითმმართველობის კომპეტენცია, ახალი პროექტით განისაზღვრა პასიური და აქტიური საარჩევნო უფლებები, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული ქალაქის საბჭოს ხმოსნად და ვის მიერ. ასევე, იხსნებოდა საარჩევნო უფლების შემზღუდველი ნორმები და დგინდებოდა, რომ ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში ამომრჩევლის სახით მონაწილეობა შეეძლო რუსეთის იმპერიის ყველა მცხოვრებს, იმპერატორის ქვეშევრდომს, განურჩევლად სქესისა და წოდებისა, თუ ისინი 1 წელზე მეტი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ თბილისში. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნული პროექტი ხმის უფლების სუბიექტებად სხვადასხვა დაწესებულებებს, ამხანაგობებსაც განიხილავდა, და მათზეც მინიმუმ 1 წლიანი თბილისის საზღვრებში არსებობის მინიმალურ მოთხოვნას აყენებდა. საინტერესო იყო პასიური საარჩევნო უფლების ნაწილიც. ამ კუთხით, ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც ჰქონდა აქტიური საარჩევნო უფლება, ანუ ხმის მიცემის უფლება, ასევე შეეძლო არჩეული ყოფილიყო ქალაქის თვითმმართველობაში. ერთადერთ დამატებით შეზღუდვად პროექტის ავტორები განათლების ცენზს ირჩევდნენ, რომლის თანახმადაც მინიმუმ საქალაქო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა იყო საჭირო. (ორიოდე სიტყვა ქალაქის თვითმმართველობაზე, 1905:2).

ყველაფერი ეს ხდებოდა საზოგადოების წინაშე, ეს იყო ბრძოლა აბსოლუტიზმთან, რუსეთის იმპერიაში გატარებულ კონტრრეფორმებთან და ამ კონტრრეფორმებს შორის 1892 წლის საქალაქო კონტრრეფორმას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, რადგან არ ყოფილა თითქმის არცერთი პოლიტიკური დაპირისპირება თუ დისკუსია, სადაც საქალაქო თვითმ-მართველობის, მისი არსებული და სამომავლო მოდელების განხილვა არ მომხდარიყოს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აშკარად იკვეთებოდა, რომ მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა და ურთიერთმეტოქეობისა, საქალაქო თვითმმართველოს საკითხი იყო ის ერთ-ერთი უიშვიათესი გამონაკლისი, რომლის შესახებაც ყველა ქართულ პოლიტიკურ ძალას მიზნობრივად იდენტური ხედვა გააჩნდა და მხოლოდ ამ მიზნამდე მისასვლელი გზებისა და იდეების ძიებაში თუ იჩენდა ხოლმე თავს იდეოლოგიური განსხვავებები. ქართულ საზოგადოებასა (განსაკუთრებით თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში მცხოვრებ) და პოლიტიკურ კლასს შორის ჩამოყალიბდა ახლო კავშირი და ის საზოგადოება, რომლის შემადგენელი ორგანული ნაწილები სულ ცოტა ხნის წინათ ნოე ჟორდანიას დამოუკიდებელი საქართველოს თაობაზე დასმულ კითხვაზე პასუხობდნენ, რომ ტყვედ გაყიდვა არ სურდათ, 2 ათწლეულში, რაც ისტორიისათვის ფრიად მცირე დროა, ჯერ თავისუფალ, ხოლო შემდეგ კი თავისუფლებისათვის იარაღით ხელში მებრძოლ ერად ჩამოყალიბდა. ეს

ყველაფერი ვერ იქნებოდა მიღწევადი, რომ არა საზოგადოების საკმარისი მზაობა და ამასთან ერთად, პოლიტიკური კლასის, განურჩევლად მმართველი ძალისა თუ ოპოზიციისა, სიმწიფე. აღნიშნულის მიღწევას შესაბამისი გამოცდილება და პრაქტიკა სჭირდება. ეს გამოცდილება ქართულმა საზოგადოებამ და მისმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა, ძირითადად, მე-19 საუკუნის მიწურულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დააგროვეს. ამ დროის სოციალურ-პოლიტიკურ გამოწვევებს შორის კი 1892 წლის საქალაქო კონტრრეფორმა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა, რომელმაც აიძულა ქართული საზოგადოებრიობა მისთვის შესაბამისი პასუხების გაცემაზე ეფიქრა. სწორედ ეს პროცესი იყო ერთ-ერთი ხელისშემწყობთაგანი იმ პოლიტიკური ელიტის აღზრდა-ჩამოყალიბებაში, რომელიც შემდგომ თავის მრავალრიცხოვან ოპოზიციასთან ერთად პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის მართვის სადავეებთან აღმოჩნდა.

დასკვნა

1840 და 1866 წლების თბილისის თვითმმართველობის მოდელებმა, მათი უკიდურესი შეზღუდულობის და პოლიტიკოსების მოუმზადებლობის ფონზე ხელშესახები ვერაფერი შექმნეს, გარდა იმისა, რომ ხელი შეეწყოთ თვითმმართველობის უფრო დიდი ფარგლებით მოპოვების სურვილის გაჩენისათვის. 1870 წლის საქალაქო რეფორმამ და მისმა შედეგებმა საზოგადოებას დაანახვა შეზღუდული, ნაწილობრივ უსამართლოდ გადანაწილებული, მაგრამ მაინც პროგრესი, ხოლო პოლიტიკოსებს პრაქტიკული გამოცდილება მისცა, რომ სიტყვების გარდა, ქალაქის, საზოგადოების რეალურ პრობლემებს შესჭიდებოდნენ, ესწავლათ კონსტრუქციული ურთიერთთანამშრომლობა და პოლიტიკოსებად შემდგარიყვნენ. 1892 წლის საქალაქო კონტრრეფორმამ კი მათ არ დაუტოვა სხვა გზა, გარდა იმისა, რომ საზოგადოებასთან, ერის საჭიროებებთან უფრო მეტი სიახლოვე ჰქონოდათ. საზოგადოებრივი ასპარეზი მათთვის ერთადერთ ადგილად დარჩა სადაც საკუთარი იდეების გაჟღერება, მოწინააღმდეგეებთან დაპირისპირება შეეძლოთ და სწორედ ამ პროცესში მოემატა მნიშვნელობა საზოგადოებიდან მომავალ მხარდაჭერას, საფუძველი ჩაეყარა ახალ პოლიტიკურ პარტიებსა და მიმართულებებს, პოლიტიკურად განისწავლა მათი სამიზნე აუდიტორიები, განვითარდა და დამკვიდრდა ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური კულტურა. ამ ყველაფერს კი საბოლოო შედეგად მოჰყვა ის, რომ ისტორიული კანონზომიერებისა და შემთხვევითობის ურთიერთგადაკვეთის მომენტისათვის, 1918 წელს, ქართული პოლიტიკური ელიტა და ქართული საზოგადოება მომზადებულნი შეხვდნენ ასე ნანატრ დამოუკიდებლობას, რომელიც მათ იქამდე არასოდეს უნახავთ და დემოკრატიას, რომელიც საქართველომ თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პირველად ნახა და ღირსეულად გამოსცადა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ბენდიანიშვილი, ა. (1958). ნიკო ნიკოლაძე და თბილისის საქალაქო თვითმმართველობა. *მნათობი.* №12. თბილისი

ბენდიანიშვილი, ა. (1960). *თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-1917 წწ..* თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.

ბენდიანიშვილი, ა. (1982). *საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში 1875-1917 წლებში.* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ბერიაშვილი, თ. (1964). *რეფორმამდელი ხანის საქართველოს ქალაქების სოციალური ფენები.* თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“.

ხვადაგიანი, ი. (2021). *ქალაქი, საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921,* თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“.

მესხი, ს. (1874). თბილისის მოქალაქეებს. *დროება.* №449. ტფილისი.

მესხი, ს. (1878). ქალაქის კენჭისყრა. *დროება.* №254. ტფილისი.

ორიოდე სიტყვა ქალაქის თვითმმართველობაზე. (1905). ცნობის ფურცელი. №2875. ტფილისი.

ჯავახიშვილი, ი. (1918). ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII-XVIII. *პრომეთე.* №1. ტფილისი.

*Акты собранные Кавказской Археографической комиссией (*АКАК), Т. II, (1868) изданъ подъ редакциею председателя коммиссии Ад. Берже. Тифлис.

Гогебашвили, Я. (1897). *Правда о Тифлисе*, Тифлис.

Полное собрание законов российской империи, собрание второе, том XLV, 1870. (1874). Саткт-Петербург.

Полное собрание законов российской империи, собрание третие, том XII, 1892, (1895). Санкт Петербург.

Тумановъ, Г. (1902). *Заметки о городском самоуправлении на Кавказе,* тифлис.

Nikoloz Meskhishvili

THE ISSUE OF SELF-GOVERNANCE OF THE CITY OF TBILISI IN THE 19TH CENTURY AND THE DEVELOPMENT OF GEORGIAN PUBLIC AND POLITICAL OPINION

Abstract

The two main municipal reforms implemented in the second half of the 19th century in the Russian Empire, and earlier adopted models of self-governance of Tbilisi, played a largely positive role in raising public socio-political awareness and forming a new Georgian political elite. Despite their lack of democratic features, the different models of self-governance gave rise to a diversity of thought in Georgian politics.

The 1870 municipal governance statute and the 1892 counter-reform particularly boosted public activities within Georgian political life, which was manifested in arguing social, political, and ideological viewpoints. Thus, Georgian public managed to perceive the political subjects and their programs, and evolve with a greater demand for freedom, social benefits, and the establishment of democratic governance. On the other hand, politicians became primed for subsequent challenges, the greatest of which would be the independent, democratic Republic of Georgia in 1918-1921.

Keywords: Tbilisi, self-governance, municipal governance, democracy, political forces, bourgeoisie, city council, reform.